პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

EU4BUSINESS: კომპანიების დაკავშირება

განხორციელების ვადა: 01.01.2020 - 31.12.2023

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 6 500 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Eurochambres

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
https://twitter.com/EU4BCC, facebook.com/EU4BCC

პროექტის ვებსაიტები: connectingcompanies.eu

პროექტის აღწერა:

პროექტი "EU4BUSINESS: კომპანიების დაკავშრება" მიზნად ისახავს ვაჭრობის ხელშეწყობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას შორის. პროექტი ფოკუსირებული ეკონომიკური საქმიანობის ხუთ სექტორზე, სადაც არსებობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მნიშვნელობანი პოტენციალის, კერძოდ - ორგანული საკვები, შემოქმედებითი დარგები, ტექსტილი, ტურიზმი და მეღვინეობა.

მოსალოდნელი შედეგები:

- კომპანიების დაკავშრება: დაწყებულია საკონკურსო განაცხადების მიღება. დასაკავშირებლად მცირე და საშუალო საწარმოებს შეარჩევენ ევროპის სექტორული კონსორციუმები; შერჩევა მოხდება გამჭვირვალე პროცედურების საშუალებით, ევროკავშირის წესების შესაბამისი სათანადო კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველზე. ზემოაღნიშნულის მიზანია თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოვლინება საერთო პროდუქციის ან სერვისის წარმოების პროცესში.
- სასწავლო ვიზიტები: მონაწილეებს სთავაზობს სწავლას „სამუშაო ადგილზე“ ბიზნესის მხარდამჭერი სხვა ორგანიზაციებისგან, ზრდის ინფორმირებულობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესახებ ევროკავშირის ბიზნეს-წრეებში და პირიქით, ასევე სთავაზობს ქსელური აქტივობის შესაძლებლობებს. თითოეულ სასწავლო ვიზიტს ექნება კონკრეტული მიზანი, რომელიც შეიძლება იყოს თემატური (მაგ. სერვისის ინტერნაციონალიზაცია, ქალთა მეწარმეობა), ან სექტორული (მაგ. აგრო-პროდუქტები, ტექსტილი).
- თვინინგი (რაც განისაზღვრება, როგორც პოტენციალის შექმნა / კოლეგებს შორის ურთიერთსწავლება ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისთვის, სტაჟირება) პირდაპირი კავშირების დასამყარებლად ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს შორის ევროკავშირში და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. თვინინგი მიზნად ისახავს ცოდნის გაღრმავებას სავაჭრო გარემოს და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ, რათა ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის გაცვლებს, საუკეთესო პრაქტიკის და ცოდნის გაზიარებას, თანამშრომლობას და ორივე მონაწილის ცოდნის გაუმჯობესებას.

ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისთვის ადგილობრივი პირობების და ბიზნეს-გარემოს გაცნობის მიზნით, ამავე